შპს აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტი"

AUDIT "LAZIKA AUDIT" LLC

ქ.თბილისი, ვარკეთილის მე-2 მ/რ, კორპუსი 9, ბინა №102; ტელ.: 599 951074
Tbilisi, varkeTili 2 m/r, building 9, Apartment 102; Zugdidi, 43 Tbilisi Str. Tel.: 599 951074

#131 28.02.2018 წ.

აუდიტორების წერილობითი ინფორმაცია (ანგარიში) აუდიტის შედეგების მიხედვით

შპს აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტი"-ის, (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-104301. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მასივი ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ, კორპუსი 9, ბინა 102 საიდენტიფიკაციო კოდი 400032674, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 23.12.2011 წელი, #B 12034503 მარეგისტრირებელი ორგანო - საჯარო რეესტრი) მთავარი აუდიტორების:

1. ზარანდია მამუკა (პ/ნ 19001059180) – სერთიფიკატი ზ #6/150, გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 5 მარტი 2012 წ.(ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-355180);

2. ბუკია თამაზი (პ/ნ 19001054047) – სერთიფიკატი ზ #5/533 გაცემული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული სამიანობის საბჭოს მიერ 16 მაისი 2011 წელი. სერთიფიკატი ნომერი 0129 - გაცემული საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ 29.12.2015წ. (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-807255).

მიერ ჩატარდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შედგენა-შესრულების აუდიტორული შემოწმება - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის

ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი - „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის # 364 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ბალანსს 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს.კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების,წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების,არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ.

შემოწმებულ პერიოდში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელნი იყვნენ: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და საფინანსო სამსახური.

ზოგადი ინფორმაცია

ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განისაზღვრება აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობითა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, რომლის თანახმად გვევალება ანგარიშის წარდგენა აუდიტორული ანგარიშგების შესახებ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისათვის.

ანგარიშში აღწერილი ფაქტები ეხება მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც ჩვენთვის ცნობილი გახდა აუდიტის პროცესში. ეს არ არის ამომწურავი ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც შეიძლება ამ სისტემაში არსებობდეს, ან მათი გაუმჯობესების გზების შესახებ.

1. აუდიტორულ შემოწმებას ახასიათებდა შემდეგი თავისებურებანი:

აუდიტორული შემოწმების თავისებურებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების, შესრულების და მასში მომხდარი ცვლილებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

2. მუნიციპალიტეტის ბუღალტრული აღრიცხვა:

მუნიციპალიტეტის ბუღალტრულ აღრიცხვას და საბიუჯეტო თანხების შიდა კონტროლს წარმართავს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც წარმოდგენილია 2 განყოფილებით, 10 საშტატო ერთეულით: სამსახურის უფროსი 1 საშტატო ერთეული; განყოფილების უფროსი 2 საშტატო ერთეული; სპეციალისტი 7 საშტატო ერთეული.

შემოწმების დროს განხილული იყო:

1. **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შედგენა- შესრულება**

2. **ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების მდგომარეობა - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შედგენილია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის # 364 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ბალანსს 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და**

ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ.

3. აუდიტორული შემოწმების მეთოდიკა

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად ჩვენ გამოვიყენეთ აუდიტორული პროცედურების შემდეგი ხერხები და მეთოდები: ა) შემსყიდველის გამოთვლების სისწორის შემოწმება (ხელახლა გამოთვლა) ბ) ინვენტარიზაცია გ) ცალკეული სამეურნეო ოპერაციის აღრიცხვის დაცვის წესების შემოწმება დ) დადასტურება ე)შემსყიდველის პერსონალის ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ (მესამე) მხარეთა ზეპირი გამოკითხვა ვ) დოკუმენტების შემოწმება (დათვალიერება) ზ) დაკვირვება თ) ანალიზური პროცედურები.

აუდიტორული შემოწმება ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აუდიტორული შემოწმების მსვლელობისას საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება შემოწმდა მთლიანად. შესყიდვის განყოფილება შერჩევით. შემოწმების მსვლელობისას გამოვიყენეთ შერჩევითი შემოწმების შემდეგი ძირითადი პრინციპები. შემთხვევითი შერჩევა და ფულადი ერთეულის მიხედვით შერჩევა.

აუდიტორული შემოწმების შედეგები:

1. **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შედგენა- შესრულება**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2016 წლის 28 დეკემბერს 5794,1 ათასი ლარით.2017 წლის განმავლობაში შევიდა 5 ცვლილება და საბოლოოდ დაზუსტდა 11017,4 ათასი ლარით 2017 წლის 26 დეკემბერს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. აგრეთვე, დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას, დასახული და მიღწეული შედეგების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.(ცხრილი #1)

ცხრილი #1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის **2017** წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური მაჩვენებლები(ათასი ლარი)

დასახელება	წლიური გეგმა(დამტკიცებული)	დაზუსტებული	საკასო შესრულება	%
შემოსავლები	10 065,3	**10 065,3**	**12 552,3**	**124.7%**
გადასახადები	1 100,0	**1 100,0**	**1 581,7**	**143.8%**
გრანტები	6 020,0	**6 020,0**	**8 328,5**	**138.3%**
სხვა შემოსავლები	2 945,3	**2 945,3**	**2 642,1**	**89.7%**
ხარჯები	7 984.2	**7 307.6**	**7 217.2**	**98.8%**
შრომის ანაზღაურება	1 712.7	**1 532.6**	**1 524,6**	**99.5. %**
საქონელი და მომსახურება	820.0	**843.5**	**821,8**	**97.4%**
პროცენტი			-	-
სუბსიდიები	3 369.4	3 651.1	3 641.6	99.7%
გრანტები				
სოციალური უზრუნველყოფა	498.7	410.4	407,9	**99.4%**
სხვა ხარჯები	1 583.4	870.0	821,3	**94.4%**
საოპერაციო სალდო	2 081,1	2 757.7	5 335.1	
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2 862,1	3 537.5	3 356,8	**94.5**
ზრდა	2 952,1	3 627.5	3 407,5	**93.9.%**
კლება	90,0	90,0	50,7	**56.3%**
მთლიანი სალდო	-781,1	--779.8	1978.3	

ფინანსური აქტივების ცვლილება	-862,1	-861.8	1896.3	
ზრდა	0	8.7	2 749.4	
ვალუტა და		8.7	**2749.4**	
კლება	862,1	853,1	**853,1**	
ვალუტა და	862,1	853,1	**853,1**	
ვალდებულებების	-81,1	-82,0	**--82,0**	
ზრდა			-	
საგარეო			-	
საშინაო			-	
კლება	81,1	82,0	**82,0**	
საგარეო			-	
საშინაო	81,1	82,0	**82,0**	
ბალანსი	0	0,0	**0.0**	

2017 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი

შეადგენდა 853,1 ათას ლარს, ხოლო 2018 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 2 749,9 ათასი ლარი.

ცხრილი 2

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილება(ათასი ლარი)

დასახელება	წლიური გეგმა(დაზუსტებული)	საკასო შესრულება	შესრულება%-ში
შემოსულობები	10 155,3	**12 603,0**	124.1
შემოსავლები	10 065,3	**12 552,3**	124.7
არაფინანსური აქტივების	90,0	**50,7**	56.3%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-
გადასახდელები	10 017.1	10 706.7	106.9%
ხარჯები	7 307.6	**7 217.2**	79.7%

არაფინანსური აქტივების ზრდა	3 627.5	3 407,5	93.9%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-
ვალდებულებების კლება	82,0	82,0	
ნაშთის ცვლილება	-861.8	1 896.3	

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11 017,4 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13 456,1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 122,1%.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 10 065,3 ლარი ფაქტიურად 12 552,3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 124.7% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 1 581,7 ათასი ლარი, გეგმის 1 100.0 ათასი ლარის 143,7%-ს შეადგენს.

მათ შორის:

<u>ქონების გადასახადიდან</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1 206,3 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმის 650,0 ათასი ლარის 185,6%- შეადგენს. ხოლო

<u>საშემოსავლო გადასახადი 375,4 ათასი ლარი, გეგმით განსაზღვრულის 450 ათასი ლარის 83,4%-ს შედგენს.</u>

<u>გრანტები</u>

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 8 328,5 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 6 020,0 ათასი ლარი(138,3) მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 17,6 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი – 2 467,4

ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 183,0 ათასი ლარი, სხვა--91,1 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერები – 5 569,4 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები--დაგეგმილი იყო 2 945,3 ათასი ლარი, შემოსულია 2 642,1 ათას ლარის მოცულობის, რაც დაგეგმილის 89,7%-ს შეადგენს. მათ შორის: პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 5,0 ათასი ლარი,(276,0%.)რენტის სახით მობილიზებულია 2 473,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 2 822,7 ათასი ლარი 87,6%-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 2 470,8 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 2,6 ათასი ლარი. საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია გეგმით განსაზღვრული იყო 22,6 ათასი ლარი, საკასო შესრულების შედეგად მიღებულია 83,3 ათასი ლარი.(368,5 %) მათ შორის:ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა 71,5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 63,4 ათასი ლარი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,2 ათასი ლარი.დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 7,9 ათასი ლარი, ხოლო მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 11,8 ათასი ლარი.<u>ჯარიმებიდან და საურავებიდან</u> მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 63,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (75.0 ათასი ლარი) – 84,5%-ს შეადგენს.

<u>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულია 8,3 ათასი ლარი.

<u>არაფინანსური აქტივებიდან</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 50,7 ათასი ლარის შემოსავალი.ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11 017,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10 706.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,2 %-ია.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7 307.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 7 217.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98,8 %-ია. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 627.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 3 407.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.9%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 82,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 82,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100-ია.

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 532,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 524,6 ათასი ლარი; მ/შორის თანამდებობრივი სარგო 1424.0 ათასი , ხოლო პრემია 100,6 ათასი ლარი; რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,4 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 843.5 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა 821,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 97,4 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 651,1 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3 641,6 ათასი ლარი,რაც გეგმის 99,7%-ს შეადგენს.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის **2017** წლის ბიუჯეტის შესრულება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 133,6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის

(2 144,9 ათასი ლარი) 99.5 % შეადგენს.

- თავდაცვის სფეროში დაგეგმილ იქნა 116,3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 108.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.2%.

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა

4 506.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4 232.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.9 %,

- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა

82.0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 81.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,9 %,

- <u>კულტურა, ახალგაზრდული,სპორტული, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად</u>

<u>განსაზღვრული იყო 1 605.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 600.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,7%.</u>

- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 1 225,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 1 219,6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,5%, მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებამ გეგმით შეადგინა 1 045.0 ათასი ლარი გაიხარჯა 1 044.9 ათასი ლარი.(99.9%)

✓ ზოგადი განათლების სფეროს ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 57.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (58,6 ათასი ლარი) 98,3%-ს შეადგენს.

✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 104.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (106,5 ათასი ლარი) 98,4%-ს შეადგენს.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო

569.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 566.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,5 %, მათ შორის:

თანადაფინანსება: 70,0 ათასი ლარი;(სუბსიდია)

სოციალური უზრუნველყოფა 400.5 ათასი ლარი:

სხვა ხარჯი 67.9 ათასი ლარი;

ვალდებულების კლება 27. 8 ათასი ლარი.

ცხრილი 3

2017 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	2 144,9	2 133.6
702	თავდაცვა	116,3	108,4
704	ეკონომიკური საქმიანობა,	4 506.3	4 232.9
706	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	768.2	763.5
707	-ჯანმრთელობის დაცვა,	82,0	81,9
708	-დასვენება და კულტურა,	1 605.8	1 600.5

709	განათლება	1 225,0	1 219,6
710	სოციალური დაცვა	569,0	566.3
	სულ ჯამი	**11017,1**	**10 706,7**

ვალდებულებების დაფარვა

2017 წელში გადაირიცხა ბიუჯეტის ვალდებულების კლების მუხლით გათვალისწინებული 82,0 ათასი ლარი. (მ/შორის; 25,7 ათასი ლარი საკრებულო და გამგეობის ხარჯები; თავდაცვა 2,5 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 15,0 ათასი ლარი ; განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდა 7,6 ათასი ლარით; საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 3,5 ათასი ლარი; სოციალური პროგრამები 27,7 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდი

2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამგებლის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 50,0ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 48,8 ათასი ლარი(97,6 %)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა - 1 844,3 ათასი ლარი;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 785,5 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 883,4 ათასი ლარით;

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 1,0 ათასი ლარი;
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები - 1 458,3 ათასი ლარით;
- სოფლის მეურნეობის მხარდამჭერა და განვითარება - 12,6 ათასი ლარი;
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება - 1 044,9 ათასი ლარი;
- ზოგადი განათლების დაფინანსება - 57,6 ათასი ლარი;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი - 104,8 ათასი ლარი;

  საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა---12,2 ათასი ლარი
- სპორტული ობიექტების დაფინანსება - 587,3 ათასი ლარი;
- კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 984,5 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა – 4,8 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა – 30,1 ათასი ლარი;
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა – 10,0 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 81,9 ათასი ლარით;
- დაკრძალვის ხარჯები - 1,0 ათასი ლარით;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება - 81,6 ათასი ლარით;
- ლტოლვილთა დახმარება - 10,9 ათასი ლარით;
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 22,8 ათასი ლარით;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება - 341,1 ათასი ლარით;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 108,9 ათასი ლარით;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

1. **თავდაცვა და უსაფრთხოება** დაფინანსებულია 107,4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 117,8 ათასი ლარის 91,1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

1.2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრული იყო 116.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 108,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 93,2 პროცენტი.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დაფინანსებულია 4 985,1 ათასი ლარით რაც გეგმის (5 264.6 ათასი ლარი) 94,7 პროცენტია;

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა დაფინანსებულია 1 844,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (1 881.5 ათასი ლარი) 98,0%-ს შეადგენს ათასი ლარი.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 785.5 ათასი ლარით, რამაც გეგმის (791.2 ათასი ლარი) 99.3 პროცენტი შეადგინა.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 883,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (1066.1 ათასი ლარი) 82,9%.-ია.

2.4 სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას 2017 წლის განმავლობაში 1 458,3 ათასი ლარი მოხმარდა, რაც გეგმის 1 511,4 ათასი ლარის 97,1%.

2.5 სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და განვითარება. ამ მიზნით გამოიყო სულ 1,0 ათასი ლარი.

3. განათლების ღონისძიებები დაფინანსებულია 1 219.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (1 225,0 ათასი ლარი) -99,6 %-ია.

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსებას მოხმარდა 1 044,9 ათასი ლარი.

3.2 განათლების სისტემის ხელშეწყობის ფარგლებში გამოყოფილი 57,6 ათასი ლარი.

3.3 ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება განხორციელდა 104,8 ათასი ლარით.

3.4 პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა სწავლა გადამზადების პროგრამა.გეგმა 15,0 საკასო შესრულება 12, 2(გეგმის 81,3 %)

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება დაზუსტებული გეგმით შედგენდა 1 605,8 ათას ლარს, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 600.5 ათასი ლარი(გეგმის 99,6%)

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა 587.3 ათასი ლარი.

4 კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობის კუთხით დაფინანსდა 984.5 ათასი ლარი.

4.3 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის ფარგლებში გახარჯული იქნა 30.1 ათასი ლარი.

4.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელისშეწყობის მიზნით გაიხარჯა 10,0ათასი ლარი.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა 648,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (651,0 ათასი ლარი) 99,6%-ია.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით დელეგირებული ფუნქციების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა 81,9 ათასი ლარი.

5.2 სოციალური პროგრამები დაფინანსდა 566,3 ათასი ლარით.

2. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების მდგომარეობა.

2017 წლის ფინანსური ანგარიშგებაში,რომელიც შედგენილია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის # 364 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ბალანსს 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს.კერძოდ: „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის,არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების,წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების,არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესახებ“ ასახული ინფორმაციის დოკუმენტური შემოწმება.

მუნიციპალიტეტის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის შესწავლით დავადგინეთ, რომ იგი შეესაბამება მოქმედ ნორმატიულ აქტებს და ადეკვატურია მუნიციპალიტეტის საქმიანობის მასშტაბებთან.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემას ჩვენ მივიჩნევთ ეფექტურად, ვინაიდან სამეურნეო ოპერაციების ასახვის დროს დაცული არის შემდეგი პირობები:

1. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ხორციელდება ნორმატიული აქტების შესაბამისად.
2. დაცული არის სამეურნეო ფაქტების დროში გამიჯვნის პრინციპი ე.ი. სამეურნეო ოპერაციები აისახება იმ საანგარიშგებო პერიოდში რომელშიც ფაქტობრივად განხორციელდა.
3. აღრიცხვაში ოპერაციები დაფიქსირებულია სწორი თანხებით.
4. სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის დროს დაფიქსირებულია მათი არსებითი დეტალები.
5. მუნიციპალიტეტს ორგანიზებული აქვს და ფუნქციონირებს შეცდომებისა და თაღლითობის თავიდან აცილების სისტემა.

ჩვენ გავესაუბრეთ ბუღალტერიის მუშაკებს: შევისწავლეთ მათი კვალიფიკაცია, გამოცდილება და დავრწმუნდით მათ კომპეტენტურობაში, პროფესიონალიზმსა და პატიოსნებაში. ამასთან ერთად შემოწმების პერიოდში ზეპირი ინფორმაციის მიღების მიზნით გამოკითხვა - საუბარი ჩავატარეთ ა) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსთან ქალბატონ მაია გოგოლაძესთან.; ბ) მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის უფროსთან ბატონ ვლადიმერ გოგიბერიძესთან. დავადგინეთ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების არსებითობის დონე, რისთვისაც ვიხელმძღვანელეთ არსებითობის დონის დადგენის ასს 320 - ,,არსებითობა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების დროს" პრინციპების საფუძველზე შემუშავებული შიდა საფირმო სტანდარტით (დამტკიცებული შპს აუდიტორული ფირმა ,,ლაზიკა აუდიტის" სააუდიტორო შემოწმების კოლეგიის (#2 23.01.2012 წ.) სხდომაზე). რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის 2017 წლის ფინანსური ანგარიშების მონაცემების საფუძველზე განვსაზღვრეთ არსებითობის ფაქტები და დავადგინეთ შემდეგი:

1. ბუღალტრული აღრიცხვის ყველა ჩანაწერი დასტურდება სათანადო გამამართლებელი და პირველადი დოკუმენტებით, რომლებიც გაფორმებულია მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.
2. ანგარიშში სრული მოცულობით არის ასახული ფაქტობრივად ყველა გძელვადიანი აქტივი და მატერიალური მარაგები.
3. ანგარიშის მომზადების დროს დაცული არის ინფორმაციის შესაბამისობის სააღრიცხვო პრინციპი ე.ი. სინთეზური აღრიცხვის ანგარიშების ნაშთი და ბრუნვები ემთხვევა ანალიზური აღრიცხვის ანგარიშების ნაშთებსა და ბრუნვებს და სრული მოცულობით არის გადატანილი ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებიდან მთავარ წიგნში.

4. პირველადი დოკუმენტების შედგენისას ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერების განხორციელებისას ფინანსურ ანგარიშგებაში მონაცემთა გადატანის დროს დაცულია მაჩვენებელთა არითმეტიკული სიზუსტე - არ ვხვდებით ,,დავიწყებულ" ნულებს, რიცხვების გადიდებულ ან შემცირებულ თანხებს.

ჩვენ მოვიპოვეთ შესაბამისი მტკიცებები კონკრეტული კატეგორიების, ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ შესამოწმებელ პერიოდში და დავადგინეთ:

1. ბუღალტრულად აღრიცხული ოპერაციები და მოვლენები უკვე მოხდა და დაკავშირებული არის მუნიციპალიტეტთან.

2. ყველა ის ოპერაცია და მოვლენა რომელიც დოკუმენტურად უნდა აღრიცხულიყო, აღრიცხულია.

3. დოკუმენტურად აღრიცხული ოპერაციებთან და მოვლენებთან დაკავშირებული თანხები და მონაცემები აღრიცხულია სათანადოდ.

4. ოპერაციები და მოვლენები ასახულია სათანადო ანგარიშებში.

2017 წლის ფინანსური ანგარიშგება შედგენილია **„ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის # 364 ბრძანების მოთხოვნების სრულად დაცვით.**

არაფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების, შრომის ანაზღაურების აღრიცხვის შესახებ

1.არაფინანსურ აქტივებთან (აქტივების აღრიცხვის, მიღებისა და გასვლის ანალიზი) დაკავშირებული ბუღალტრული ოპერაციები

არაფინანსურ აქტივების აღრიცხვა წარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით განსაზღვრული კლასიფიკაციის შესაბამისად.

ძირითადი აქტივების (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, სხვა ძირითადი აქტივები, არამატერიალური აქტივები და ა.შ.) ნაშთი 2017 წლის 01 იანვრისათვის შეადგენდა 31571528 ლარს, 2017 წელს შეძენილ იქნა 5913944 ლარის ძირითადი აქტივები. უსასყიდლოდ მიღებულ იქნა 1518268 ლარის ძირითადი აქტივები. ჩამოწერილია - 18395 ლარის. დარიცხულია ცვეთა 1440709 ლარი. რეალიზირებულია არაწარმოებრივი აქტივი 7320 ლარის. ნაშთი 2018 წლის 01 იანვრისათვის შეადგენს 37543159 ლარს (იხ. დანართი №1).

მატერიალური მარაგების ნაშთი საბალანსო ანგარიშზე 2017 წლის 01 იანვრისათვის შეადგენდა 29954 ლარს, 2017 წლის შეძენა - 727244 ლარი, უსასყიდლოდ მიღება - 6919 ლარი. ჩამოიწერა - 727244 ლარი. აუდირებად პერიოდში სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალიზირებულია 6919 ლარი. ნაშთი საბალანსო ანგარიშზე 2018 წლის 01 იანვრისათვის შეადგენს 29954 ლარს (იხ. დანართი №3). ექსპლუატაციაში გადაცემული მატერიალური მარაგები საბალანსო ანგარიშიდან ხარჯებში არაა ჩამოწერილი.

გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ნაშთი საბალანსო ანგარიშზე 2017 წლის 01 იანვრისათვის შეადგენდა 374739 ლარს, 2017 წელს შეძენილ იქნა 12467 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, უსასყიდლოდ მიღებულ იქნა 6334 ლარის. აუდირებად პერიოდში გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერა, რეალიზაცია ან უსასყიდლოდ გადაცემა არ მომხდარა. ნაშთი 2018 წლის 01 იანვრისათვის საბალანსო ანგარიშზე შეადგენს - 393540 ლარს (იხ. დანართი №2). ექსპლუატაციაში გადაცემული გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები საბალანსო ანგარიშიდან ხარჯებში არაა ჩამოწერილი.

2. მოთხოვნებისა და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის მდგომარეობა, მათი წარმოქმნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებული ოპერაციები

მოთხოვნების ნაშთი 2017 წლის 01 იანვრისთვის არ ირიცხებოდა, ვალდებულებების ნაშთი 2017 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 81354 ლარს. მოთხოვნებისა და ვალდებულების ნაშთი 2018 წლის 01 იანვრისათვის არ ირიცხება (იხ. დანართი №4).

3. შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ოპერაციები

2017 წელს დარიცხულია: ხელფასი - 1424013.48 ლარი; პრემია - 100600 ლარი; სოციალური დახმარება 10383.84 ლარი. დაკავებულია: საშემოსავლო - 305623.84 ლარი; პროფკავშრების ანარიცხები -5718.5 ლარი; სხვა დაკავებები 13248 ლარი. გაცემულია: ხელფასი 1121429.9 ლარი; პრემია -80670 ლარი; სოცდახმარება - 8306.37 ლარი (იხ. დანართი №5). შრომის ანაზღაურება დარიცხულია საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებროვი სარგოების შესაბამისად. საშემოსავლო გადასახადი დაკავებულია საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესების მიხედვით.

მუნიციპალიტეტი სამეურნეო ოპერაციებს ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით.ჩვენს მიერ შემოწმებულ ყველა დოკუმენტში, როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მიხედვით უჩვეულო გადახრები არ გამოვლინდა.

ჩვენს მიერ მიერ შემოწმდა სუბსიდირებული თანხების მოძრაობა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ–ების მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების და ინვენტარიზაციის მასალების საფუძველზე. ინვენტარიზაცია ფაქტიურად არაა ჩატარებული. ბუღალტრული ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი ხარვეზებია, არის შეუსაბამო მონაცემები, ბუღალტრებს მიეცათ შესაბამისი მითითებები.

დასკვნები და რეკომენდაციები:

1. სრულყოფილად ჩატარდეს ინვენტარიზაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივნისის #605 ბრძანების შესაბამისად;

2. გასწორდეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ–ებში და შპს-ებში ბუღალტრული ანგარიშგება და ინვენტარიზაცია (განსაკუთრებით ჩამოწერების ნაწილში).

ჩვენ სიამოვნებით დაგეხმარებით ნებისმიერი საკითხის დამატებით დეტალურ განხილვაში, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას წინამდებარე ანგარიშის განხილვის პროცესში.

პატივისცემით,

შპს აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტი“–ს

აუდიტორ-დირექტორი, ეკონომიკის

აკადემიური დოქტორი, პროფესორი: შამუკა ზარანდია

საჯარო სექტორის სერტიფიცირებული

აუდიტორი თამაზ ბუკია